



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1443
02/08/2018

ქალაქი ბათუმი

1443-05-4-201808021210



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისიის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში არ არსებობს სამსახურებრივი ინსპექტირების განმხორციელებელი სტრუქტურული ერთეული და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი არის თვითმმართველი ერთეული (თვითმმართველი თემი), ხოლო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია მისი არჩევითი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და მასში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეთაგან, რომელთაც აქვთ სამსახურებრივი ურთიერთობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად **ვბრძანებ**:

1. შეიქმნას დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კახაბერ ფუტყარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) ნუნუ მამულაიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ე) თამილა ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურიდიულ საკითხებში - კომისიის წევრი.

2. კომისიამ უზრუნველყოს:

ა) დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ გარემოებებისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების (ინფორმაციის) შეგროვება და შესწავლა;

ბ) მიიღოს და გაანალიზოს წერილობითი ან/და ზეპირი ახსნა - განმარტებები;

გ) მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადასტუროს დისციპლინური გადაცდომის არსებობა ან არარსებობა;

დ) განსაზღვროს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;

ე) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

ვ) დისციპლინური წარმოების კომისიის დასკვნა წარედგინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

